ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №52

20.11.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **გიორგი ახვლედიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **შალვა ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **გიორგი ბირბიჩაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **ჯუბა ყანდარელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. **ანა გაბრიაძე** - ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცე"-ს თავმჯდომარე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1

დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, სატრანსპორტო საკითხთა, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 15 ნოემბრის №12-0319319121-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. **მიმდინარე საკითხი:**

2.1. „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 18 ნოემბრის №12-031932260-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი/

2.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931142-03) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2.3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931141-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 15 ნოემბრის №12-0319319121-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 1 020 000 000 (ერთი მილიარდ ოცი მილიონი) ლარით, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (№34-115 დადგენილება 25.12.2018 წ.) მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 927 631 500 (ცხრაას ოცდაშვიდი მილიონ ექვსას ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარს, გაზრდილია 92 368 500 (ოთხმოცდათორმეტი მილიონ სამას სამოცდარვა ათას ხუთასი) ლარით.

2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

1) **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - დაფინანსების ოდენობა: 122 046 100 (ას ოცდაორი მილიონ ორმოცდაექვსი ათას ასი) ლარი.
2) **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** - დაფინანსების ოდენობა: 269 046 900 (ორას სამოცდაცხრა მილიონ ორმოცდაექვსი ათას ცხრაასი) ლარი.
3) **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - დაფინანსების ოდენობა: 111 348 100 (ას თერთმეტი მილიონ სამას ორმოცდარვა ათას ასი) ლარი.
4) **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - დაფინანსების ოდენობა 7 127 500 (შვიდი მილიონ ას ოცდაშვიდი ათას ხუთასი) ლარი.

5) **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება** - დაფინანსების ოდენობა 38 296 300 (ოცდათვრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას სამასი) ლარი.
6) **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - დაფინანსების ოდენობა: 151 695 800 (ას ორმოცდათერთმეტი მილიონ ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარი.
7) **განათლება** - დაფინანსების ოდენობა: 168 559 600 (ას სამოცდარვა მილიონ ხუთას ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსასი) ლარი.
8) **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - დაფინანსების ოდენობა: 41 835 500 (ორმოცდაერთი მილიონ რვაას ოცდათხუთმეტი ათას ხუთასი) ლარი.
9) **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - დაფინანსების ოდენობა: 6 601 200 (ექვსი მილიონ ექვსას ერთი ათას ორასი) ლარი.
10) **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - დაფინანსების ოდენობა: 103 442 900 (ას სამი მილიონ ოთხას ორმოცდაორი ათას ცხრაასი) ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს:

გ-ნმა რ. სოხაძემ, რომელმაც ისაუბრა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების თაობაზე და აღნიშნა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დედაქალაქისთვის ყველაზე მთავარ პრიორიტეტად ასახელებს გარემოს დაცვას. აღნიშნული მიმართულებით, მართალია, საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის ტენდენცია შეინიშნება, მაგრამ მაინც სათანადოდ ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც დედაქალაქის მოსახლეობა აყენებს.

გ-ნი რ. სოხაძის განმარტებით, ძალიან კარგია, როდესაც არსებული სკვერებისა და სარეკრეაციო სივრცეების აღდგენა-რეაბილიტაცია ხდება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ახალი სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, განსაკუთრებით გარეუბნებში, რადგან თბილისის ყველა მაცხოვრებელს საშუალება ჰქონდეს თავისსავე უბანში გაიყვანოს ბავშვი ან თავად დაისვენოს ასეთ სივრცეში.

გ-ნმა რ. სოხაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა შპს „ეკოსერვის ჯგუფში" დასაქმებული თანამშრომლების შრომითი ანაზღაურების საკითხზე და აღნიშნა, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია, შპს „ეკოსერვის ჯგუფში" დასაქმებული ადამიანების ხელფასი გაიზარდოს, რადგან პროფესიონალი კადრების შენარჩუნება-მოზიდვა მოხდეს. მით უმეტეს, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფი" მთელი თბილისის მასშტაბით ახორციელებს კოლოსალურ სამუშაოებს (გამწვანება, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, ხე-მცენარეების მოვლა, სხვლა-ფორმირება და სხვ.).

გ-ნი რ. სოხაძე ასევე შეეხო ბიუჯეტის თანაბარი გადანაწილების საკითხს და აღნიშნა, რომ დედაქალაქის ყველზე დიდი რაიონებისთვის საბიუჯეტო თანხების გადანაწილება პროპორციულად არ ხდება. მაგალითად მოიყვანა სამგორის რაიონი, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც, მთელი თბილისის მოსახლეობის 16%-ია, ტერიტორიის ფართობი კი მთელი თბილისის 26%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტის

გადანაწილებისას, სამგორის რაიონისთვის, რაიონების დაფინანსების საერთო მოცულობიდან მხოლოდ 13%-ია გზებისთვის გათვალისწინებული, 12% - კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის, სოციალური დახმარებებისთვის - 11% და ა.შ.

ბ-ნი რ. სოხაძის მიერ ბიუჯეტის თანაბარი გადანაწილების თაობაზე გამოთქმული აზრი გაიზიარეს ბ-ნმა ჯ. ჯიშკარიანმა, ბ-ნმა გ. ბირბიჩაძემ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა და ბ-ნმა ტყემალაძემ.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სკვერების (გლდანის პარკი, ვაკის პარკი, თემქის ხევი) მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროგრამების თაობაზე.

ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ **მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექ.ღონისძიებები (წამლობა) 2020 წელს დაფინანსდება 210 232 (ორას ათი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარით.**

პროექტი მოიცავს: 150 00 ხე-მცენარის და 60 000 ბუჩქის, აგრეთვე ტყის ფიტო-კვლევას 5000 ჰა-ზე. დაგეგმილია 150 000 ხე-მცენარის და 60 000 ბუჩქის წამლობა.

2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ვერსიის თანახმად, გათვალისწინებული იყო ორი პროექტი: **პირველი, მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგრო ტექ.ღონისძიებები (წამლობა)** (აგროტექნიკური (წამლობა, გასხვლა) ღონისძიებების მომსახურეობა; 70000 ხე, 30000 ბუჩქი და 1000 კვმ.ყვავილნარი (3 ჯერადად)) - **დაფინანსება:** 133 800 (ას ოცდაცამეტი ათას რვაასი) ლარი და მეორე, **მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა და მონიტორინგი** (120 000 ხის, 30 000 ბუჩქის 1 500 კვ.მ. ყვავილნარის შესწავლა. ასევე 60 ჰა ტყის ფიტო კვლევა) - **დაფინანსება** 124 190 (ას ოცდაოთხი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, 2020 წლისთვის შესაწამლი ხე-მცენარეების რაოდენობა და საკვლევი ტერიტორიების ფართობის მოცულობა გაზრდილია, დაფინანსება კი შემცირებულია. თუ 2019 წელს, ორ პროექტზე ჯამში გამოყოფილი იყო **257 990 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარი,** 2020 წელს დაფინანსება შემცირებულია 47 758 (ორმოცდაშვიდი ათას შვიდას ორმოცდათვრამეტი) ლარით. მით უმეტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე ხე-მცენარეების დაავადების გამო სერიოზული ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დგას დედაქალაქი. ბოლო წლებში შეიმჩნევა მწვანე ნარგავების დაზიანება და ხმობა. განსაკუთრებით ინტენსიურად ხმება ფიჭვის ხეები. მწვანე ნარგავების დაავადების გავრცელების თავიდან

აცილების მიზნით საჭიროა დროულად და ხარისხიანად იქნას განხორციელებული აგროტექნიკური ღონისძიებები (წამლობა), რასაც სჭირდება შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება.

ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საჭიროა ჩატარდეს კვლევები და გამოვლინდეს, რამდენი ხე-მცენარე აღარ ექვემდებარება მკურნალობას (წამლობას) და რამდენს სჭირდება სასწრაფოდ შეწამლა. მისი აზრით, ის ხე-მცენარეები რომელიც მკურნალობას აღარ ექვემდებარება და საფრთხეს უქმნის სხვა ხე-მცენარეებს, უნდა მოიჭრას, მაგრამ აუცილებელია მწვანე ნარგავების გადარჩენა-შენარჩუნება, რადგან ხის მოჭრა უფრო მეტი უჯდება დედაქალაქს როგორც ფინანსურად, ასევე, ეკოლოგიური თვალსაზრისით.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ ყურადღება გაამახვილა შპს „ეკოსერვის ჯგუფის" დაფინანსების საკითხზეც, რადგან ხე-მცენარეების და ზოგადად მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობის უდიდესი ნაწილი მოდის აღნიშნულ მუნიციპალურ ორგანიზაციაზე. შესაბამისად, კვალიფიციური თანამშრომლების დეფიციტი, არასათანადო დაფინანსება აისახება დედაქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ ასევე ისაუბრა დიღმის ტყე-პარკის სარწყავი სისტემის (ტექნიკური წყლით მორწყვის) პროექტის თაობაზეც და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის №16 დადგენილების პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ" -ის თანახმად 2007 წელს შეიქმნა და საქწყალპროექტში ექსპერტიზა გაიარა დიღმის ტყე-პარკის სარწყავი სისტემის (ტექნიკური წყლით მორწყვის) პროექტმა, რომელიც დღესაც არსებობს, მაგრამ დაკონსერვებულია.

დღეს არსებული სიტუაციით, დიღმის ტყე-პარკის მორწყვა ხდება შპს „ეკოსერვის ჯგუფის" მიერ სარწყავი ცისტერნების (მანქანების) საშუალებით, რაც არ ჰყოფნის მთლიანი ტერიტორიის მორწყვას და ხშირად, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები საჭირო რაოდენობის წყლის გარეშე რჩება. **2007 წელს შემუშავებული პროექტის კორექტირების შემდეგ კი, შესაძლებელი გახდება** მთლიანი დიღმის ტყე-პარკის (20,5 ჰა) სარწყავი სისტემის მოწყობა (მთლიანი ტერიტორიის დაქსელვა) და ტყე-პარკის მორწყვა ტექნიკური წყლით აღმაშენებლის ხეივანში გამავალი სადრენაჟო კოლექტორიდან (ტყე-პარკის ერთჯერადი მორწყვისთვის საჭირო წყლის ოდენობა მ^3-ში შეადგენს 23690 მ^3-ს). ტექნიკური წყლით მორწყვა აპრობირებული და ბევრად უფრო იაფია, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დედაქალაქს საკმაო ეკონომიას გააწევინებს როგორც წყლის რესურსის ხარჯვის, ასევე ფინანსური დანახარჯების სახით.

დასმულ შეკითხვებს უპასუხეს: ბ-ნმა გ. თალაკვაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი) და ბ-ნმა გ. გიგაშვილმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი).

შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ დასაქმებული თანამშრომლების შრომით ანაზღაურებს გაზრდასთან დაკავშირებით ბ-ნმა გ. თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე შრომითი ანაზღაურების გაზრდა მხოლოდ კონკრეტული უწყებისთვის არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სკვერების (გლდანის პარკი, ვაკის პარკი, თემქის ხევი) მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თემქის ხევის პირველი ეტაპის, ასევე, გლდანის პარკისა და ვაკის პარკის რეაბილიტაციისთვის 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარი. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ვაკის პარკზე და აღნიშნა, რომ პარკს აუცილებლად სჭირდება რეაბილიტაცია, მათ შორის საპარკე ფურნიტურის, ელექტრო და სარწყავი გაყვანილობების განახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული სარეკრეაციო სივრცე დამსვენებლებისთვის დაკარგავს მიმზიდველობასა და ფუნქციას.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ასევე, ისაუბრა მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევის, მონიტორინგისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექ.ღონისძიებების (წამლობა) თაობაზე და აღნიშნა, რომ 2020 წელს აღნიშნული მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება არ არის საკმარისი დედაქალაქის მთლიანი ტერიტორიის ასათვისებლად და საჭირო ღონისძიებების მხოლოდ 10%-ს ეყოფა. აქედან გამომდინარე, საქალაქო სამსახურმა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი გამონახა, საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი განყოფილება, ლაბორატორია ან სხვა მსგავსი მუნიციპალური სტრუქტურა, რომლის ფუნქციაც იქნება მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა და მონიტორინგი.

რაც შეეხება დიღმის ტყე-პარკის სარწყავი სისტემის მოწყობის პროექტს, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა აღნიშნა, რომ ე.წ. „დიღმის ტყე-პარკის“ ტერიტორიაზე სარწყავი სისტემა არასდროს ყოფილა. თუმცა, სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში, მზადაა აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიწყოს სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო კომისიის რეკომენდაციები (წინადადებები), რომლის თანახმად:

საჭიროა ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში“ გათვალისწინებულ იქნას:

1. **შპს „ეკოსერვის ჯგუფის“** დაფინანსების გაზრდა მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებების (წამლობა), შრომითი ანაზღაურებისა და სხვა ტექნიკური ხარჯებისთვის - სულ მთლიანობაში: **3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით.**
2. **თბილისის** დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტისთვის საჭირო **თანხა - 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით.**

3. დიღმის ტყე-პარკის სარწყავი სისტემის (ტექნიკური წყლით მორწყვის) პროექტისთვის (რომელშიც შევა პროექტის დაკორექტირება, ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება და სხვ.) საჭირო თანხა - **460 000 (ოთხას სამოცი ათასი) ლარის ოდენობით.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში" გათვალისწინებულ იქნას:

1) შპს „ეკოსერვის ჯგუფის" დაფინანსების გაზრდა მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებების (წამლობა), შრომითი ანაზღაურებისა და სხვა ტექნიკური ხარჯებისათვის - სულ მთლიანობაში: **3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით.**
2) თბილისის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტისთვის საჭირო თანხა - **3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით.**
3) დიღმის ტყე-პარკის სარწყავი სისტემის (ტექნიკური წყლით მორწყვის) პროექტისთვის (რომელშიც შევა პროექტის დაკორექტირება, ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება და სხვ.) საჭირო თანხა - **460 000 (ოთხას სამოცი ათასი) ლარის ოდენობით.**

2. მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული:

2.1. „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 18 ნოემბრის №12-031932260-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად: ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით, საჭიროა ქ. თბილისს ჰქონდეს იმგვარი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაეყრდნობა ევროპულ გამოცდილებასა და გაწერს გრძელვადიან ხედვას თუ რა თანმიმდევრული ნაბიჯები უნდა გადაიდგას აღნიშნული ვალდებულებების სათანადო შესრულებისა და დედაქალაქში ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვისთვის. ამ პროცესის ხელშესაწყობად საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2018 წლის 27 ნოემბერს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი), გათვალისწინებულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებისთვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნული მიზნით საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გამოცხადებული (REF: 9318-RFP-47582) ტენდერის ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია, რომელთანაც თბილისის მერიამ წარმართა მოლაპარაკებები და საბოლოოდ შეთანხმდნენ საკონსულტაციო ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც მოწონებულ იქნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ. აღნიშნული საკონსულტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარჯების დაფარვის მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) მზადაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყოს გრანტი გამარჯვებული კომპანიის ფინანსური წინადადებით წარმოდგენილი თანხის ოდენობით, რომელიც შეადგენს 490 390 (ოთხას ოთხმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაათი) ევროს. აღნიშნული მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის წარიმართა მოლაპარაკება „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის“ საგრანტო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით და საბოლოოდ შეთანხმდა აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 18 ნოემბრის №12-031932260-03 წერილით წარმოდგენილი „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 18 ნოემბრის **№12-031932260-03 წერილით** წარმოდგენილი „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისთვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული:

2.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931142-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931142-03 წერილი) წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა

გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1-ლი ნოემბრის №19.1166.1464 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - - №01192951683-67, №01192952415-67, №01192531062-67, №01192943708-67, №17-01191983093-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1" პუნქტი) - **№01192951683-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში, იოსებ მანსვეტაშვილის ქუჩა №3ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.10.850) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით სატრანსპორტო ზონის (ტზ-1) მოწესრიგების და გზის ლოგიკური კონტურის შეკვრის მიზნით, ხორციელდება მიმდებარედ არსებული საკადასტრო ერთეულის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №81.02.10.411-ის ნაწილზე) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2019 წლის 28 ოქტომბრის №01193014345 წერილით.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2" პუნქტი) - **№01192952415-67 განაცხადით** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.10.214) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით, არსებული ხარვეზი გასწორდება და შესაბამისობაში მოვა ფაქტობრივ (არსებულ) მდგომარეობასთან. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2019 წლის 28 ოქტომბრის №01193014340 წერილით.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **№01192531062-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.046) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №38-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.007.046, ფართობი: 36 973 კვ.მ.) და მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ფართობით: 26 973 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის №334 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - **№01192943708-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისპში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.01.022.198) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება. განმცხადებლის დასაბუთებით, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართულ რუკის ხარვეზს. №01.13.01.022.198 კოდზე რეგისტრირებული 2817 კვ.მ.-დან დაკვალული 449 კვ.მ. ნაკვეთი თავისი მახასიათებლით წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ნაკვეთი გაუნაშენიანებელია და არ გააჩნია გამწვანებული რელიეფი. ნაკვეთი მოასფალტებულია, ნაწილობრივ მოხრეშილია, არ მოიცავს მწვანე ხე-ნარგავებს, რაც ნათლად ჩანს 2014 წლის აერო-ფოტოგადაღებაზე და არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოფიქსაციის მასალებში. განმცხადებლის მიერ აგრეთვე წარმოდგენილია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ 2019 წლის 16 ოქტომბრის წერილი, რომლის მიხედვით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ზოგადი ზონირების სტრატეგიული დოკუმენტია და მასშტაბის სიდიდიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა თითოეული საკადასტროების საზღვრების დადგენა, სწორედ ამით არის გამოწვეული №01.13.01.022.198 საკადასტრო ერთეულზე ხარვეზი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სახით. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2019 წლის 25 ოქტომბრის №18-N01192983439 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური აფიქსირებს შემდეგ პოზიციას: წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობით განთავსებულია ბენზინგასამართი სადგური, ხოლო ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება, განლაგებულია ნავთობპროდუქტების შემნახველი რეზერვუარები. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი „სითი ინსტიტუტის“ განმარტების შესაბამისად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ზოგადი ზონირების დოკუმენტია, რომლის ფარგლებშიც არ მომხდარა თითოეული საკადასტრო

ერთეულის საზღვრების დადგენა და შესაბამისად, ზონის საზღვრები უფრო დიდ მასშტაბში შესაძლებელია დაზუსტდეს საკადასტრო კონტურის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია არსებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, საკადასტრო კონტურის დაზუსტებისა და შესაბამისი ცვლილების შეტანის საკითხზე იმსჯელოს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა. ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო მიწის ნაკვეთზე ახალი მშენებლობის უფლების გარეშე. ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაც.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და საკრებულოს შესაბამის დარგობრივ კომისიებში (გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიები) შემოსულია ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცე"-ს თავმჯდომარის ანა გაბრიაძის №10/0319315134-03 (11.11.2019წ.) წერილი თანდართული დოკუმენტაციით (წერილი და დოკუმენტაცია ოქმს თან ერთვის), რომლის თანახმად, ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცე", წარმოდგენილი ფოტო მასალისა და დოკუმენტაციის, ასევე, №10/0319315134-03 წერილში აღწერილი ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე ითხოვს №01.13.01.01.022.198 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელზეც ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი, არ შეიცვალოს არსებული ფუნქციური ზონა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემთხვევაში, წარმოებაში ჩართვას.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.01.022.198)ნაწილზე (458 კვ.მ.) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით ცვლილების მიზანშეუწონლობის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.01.022.198)ნაწილზე (458 კვ.მ.) **ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით ცვლილების საკითხი.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 5

- განმარტებითი ბარათის „5“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5“ პუნქტი) - **№17-01191983093-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.052, №01.14.06.003.030) მოთხოვნილია სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე სატყეო ზონის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატყეო ზონა ვრცელდება „უნივერსიტეტის კომპლექსი-სტუდქალაქი ბაგები“-ს სამგზავრო კიდული ბაგირგზაზე. იგეგმება სანიტარული კვანძის მოწყობა. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01192951683-67, №01192952415-67, №01192531062-67, №17-01191983093-67 განაცხადებთან (სულ: 4 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის **№12-031931142-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01192951683-67, №01192952415-67, №01192531062-67, №17-01191983093-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **უარი ეთქვას** ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.01.022.198) არსებული ფუნქციური ზონის - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილებას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ 3) (**№01192943708-67 განაცხადი**).

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის **№12-031931142-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01192951683-67, №01192952415-67, №01192531062-67, №17-01191983093-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული:

2.3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931141-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931141-03 წერილი) წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1-ლი ნოემბრის №19.1165.1465 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 25 წინადადება - №10/01192472005-67, №19/01190883370-67, №19-01191992470-67, №10/01192143762-67, №10/01192553008-67, №19/0119226724-67, №19/01192172854-67, №19/01191491172-67, №19/01191141816-67, №14-0119091182-67, №17-0119189635-67, №17-01191512846-67, №61-01191701273-67, №19/01191931738-67, №19/01191971452-01, №19/01192001303-67, №19/01192003342-01, №19/01190883787-67, №19/01191072141-67, №19/0119088948-67,

№19/0119190624-67, №10/01191781984-67, №19-01182342146-67, №19-0119087792-67, №19-01191072768).

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განხილვისას, მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე გენერალური გეგმით განსაზღვრულ ძირითად ზონირებასთან ერთად გავრცელდა გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირებაც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა ერთვის თბილისის მიწათსარგებლობის ძირითად ნახაზს დანართი №1.8-ს სახით და წარმოადგენს თბილისის დაგეგმარების გამწვანებული ტერიტორიების რუკას. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების (სარეკრეაციო ზონა; სარეკრეაციო ზონა 1; სარეკრეაციო ზონა 2; სარეკრეაციო ზონა 3; ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა; სატყეო ზონა; სხვა შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების საკითხის განხილვისას, როდესაც მიწის ნაკვეთზე ძირითადი რუკით განსაზღვრულ ზონირებასთან ერთად ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირებაც, უპირატესობა ენიჭება გამწვანებული ტერიტორიების რუკას. თუმცა, რიგ შემთხვევებში, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირება არ ასახავს ზუსტ ინფორმაციას არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და ზღუდავს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობას.

შესაბამისად, მიზანშეწონილია, №10/01192472005-67, №19/01190883370-67, №19-01191992470-67, №10/01192143762-67, №10/01192553008-67, №19/0119226724-67, №19/01192172854-67, №19/01191491172-67, №19/01191141816-67, №14-0119091182-67, №17-0119189635-67, №17-01191512846-67, №61-01191701273-67, №19/01191931738-67, №19/01191971452-01, №19/01192001303-67, №19/01192003342-01, №19/01190883787-67, №19/01191072141-67, №19/0119088948-67, №19/0119190624-67, №10/01191781984-67, №19-01182342146-67, №19-0119087792-67, №19-01191072768 განაცხადებით (სულ: 25 განაცხადი) წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე შეიცვალოს გამწვანებული ტერიტორიების რუკით

შემოთავაზებული ზონირება და გავრცელდეს ძირითადი რუკით განსაზღვრული ფუნქციური ზონები.

სარეკრეაციო/სატყეო ზონების ცვლილების თაობაზე წარმოდგენილ საკითხებთან (სულ: 25 განაცხადი) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 2 ოქტომბრის, 10 ოქტომბრისა და 18 ოქტომბრის №10-01192753036, №18-01192812540 და №18-01192913309 წერილებით დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია.

სხდომაზე დამატებით აღინიშნა, რომ „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალით (პროექტით) გათვალისწინებული წინადადებების ნუმერაცია (რიგითობა) საჭიროებს გასწორებას, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ გასწორდება საკრებულოს სხდომაზე საკითხის გატანამდე.

კომისიის წევრების მიერ დამატებითი ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№10/01192472005-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.007.706, №01.72.14.007.705, №01.72.14.007.704, №01.72.14.007.703, №01.72.14.007.702, №01.72.14.007.701) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) კორექტირება და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 3 907კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი - **№19/01190883370-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.35.006.066, №01.19.35.006.070) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) კორექტირება და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 6 110 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი - **№19-01191992470-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.027.387) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ასევე განხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება მიმდებარედ

არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდი: №01.72.14.027.128, №01.72.14.027.386). დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 8 946 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი - **№10/01192143762-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.109) ნაწილზე მოთხოვნილია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 13 924 კვ.მ.).

№10/01192143762-67 განაცხადთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ბ-ნმა რ სოხაძემ, დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, საკითხის განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი - **№10/01192553008-67 განაცხადით,** ქ. თბილისში, იპოლიტ-ივანოვის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.318) მოთხოვნილია შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 3 507 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი - **№19/0119226724-67 განაცხადით,** გ. ჭყონდიდელის ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.198) ნაწილზე მოთხოვნილია შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების - საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით მიმდებარე საკადასტრო ერთეულის ნაწილზეც (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.199) ხორციელდება შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 836 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი - **№19/01192172854-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კიბალჩიჩის ხევი №32-ში მდებარე

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.16.06.063.079) მოთხოვნილია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელება (საერთო ფართობი: 954 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი - **№19/01191491172-67** განაცხადით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.02.698) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება (სატყეო ზონისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1)) ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდი: №81.01.02.409, №81.01.02.427, №81.01.02.699). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 75 228 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი - **№19/01191141816-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, 31-ე საავიაციო ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.112) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება (სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2)) ხორციელდება №01.19.33.019.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცვლილებას ექვემდებარება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 47 111 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი - **№14-0119091182-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.01.740, №81.01.01.359) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 967 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი - **№17-0119189635-67 განაცხადით** ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №75-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.005.037) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2)

ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 1 433 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი - **№17-01191512846-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ორთაჭალის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.114) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება (სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2)) ხორციელდება მომიჯნავედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.094, №01.18.06.012.053). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 2 460 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი - **№61-01191701273-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, თამაზ ძიძიგურის ქუჩა №24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.390) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც (რზ) (ცვლილების ფართობი: 1 178 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-14 პუნქტი - **№19/01191931738-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მარნეულის ქუჩა №44-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.12.011.116) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1(რზ-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-იც (რზ-1) (ცვლილების ფართობი: 17 648 კვ.მ.).
- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-15 პუნქტი - **№19/01191971452-01 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.047.201, №01.72.14.047.202) მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 3 486 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-16 პუნქტი - **№19/01192001303-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის II ჩიხი №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.048) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 88 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-17 პუნქტი - **№19/01192003342-01 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, III რიგში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.004.001) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 25 758 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-18 პუნქტი - **№19/01190883787-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.003.042) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 515 კვ.მ.).

№19/01190883787-67 განაცხადთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომაზე მოთხოვნილ იქნა www.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ფაქტობრივი (არსებული) ვითარების ამსახველი ინფორმაციის წარმოდგენა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ უზრუნველყოფილ იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის სხდომაზე წარდგენა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებანი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით „დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის“ დამტკიცებამდე №01.18.09.003.042 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო, ახალი გენერალური გეგმის ძალაში შესვლის შემდეგ ტერიტორიაზე გავრცელდა სატყეო ზონა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ №01.18.09.003.042 საკადასტრო მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა მდებარეობს მდ. დუქნისხევის კოლექტორთან, მდინარის წყალდაცვით ზოლში, გეოდინამიკური საფრთხეების არეალის ზონაში. დამატებით აღინიშნა, რომ არსებული ფუნქციური ზონის - სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებით, საკადასტრო მიწის ნაკვეთი წარმოქმნის ე.წ. „კუნძულოვან სივრცეს“, რადგან მიმდებარედ ვრცელდება მხოლოდ სატყეო ზონა და სპეციალური ზონა 1.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვეს: ბ-ნმა. ერ. კუხიანიძემ, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ბ-ნმა რ სოხაძემ, ბ-ნმა დ. უთმელიძემ - დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) მიერ

დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, საკითხის განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-19 პუნქტი - **№19/01191072141-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.428) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 1 799 კვ.მ.).

№19/01191072141-67 განაცხადთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომაზე მოთხოვნილ იქნა www.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ფაქტობრივი (არსებული) ვითარების ამსახველი ინფორმაციის წარმოდგენა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ უზრუნველყოფილ იქნა მოთხოვნილი ინფორამციის სხდომაზე წარდგენა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებანი: არსებული ფუნქციური ზონის - სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებით, საკადასტრო მიწის ნაკვეთი წარმოქმნის ე.წ. „კუნძულოვან სივრცეს", რადგან მიმდებარედ ვრცელდება (დომინირებს) სატყეო ზონა.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვა: ბ-ნმა რ სოხაძემ - დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, საკითხის განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-20 პუნქტი - **№19/0119088948-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.108.071, №01.20.01.108.072) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8.) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 523 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 21-ე პუნქტი - **№19/0119190624-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ა. ემხვარის ქ. №22-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.040) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება (სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით) ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზეც. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი № 1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 5 003 კვ.მ.).

№19/0119190624-67 განაცხადთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომაზე მოთხოვნილ იქნა www.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ფაქტობრივი (არსებული) ვითარების ამსახველი ინფორმაციის წარმოდგენა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ უზრუნველყოფილ იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის სხდომაზე წარდგენა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებანი: საპროექტო მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში, განაშენიანების კონტურის გარეთ.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვა: ბ-ნმა რ. სოხაძემ - დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, საკითხის განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 22-ე პუნქტი - №10/01191781984-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ბაგების ტერიტორიაზე მდებარე №01.14.06.007.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 254 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 23-ე პუნქტი - №19-01182342146-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე არსებულ №01.14.09.008.230, №01.20.01.010.270 და სხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება. განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულების ნაწილზე არ ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა, ხოლო ნაწილზე, როგორც ძირითადი, ისე გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, განსაზღვრულია სატყეო ზონა. გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება დასაშვებია განცხადებით მოთხოვნილ №01.14.09.008.230 და №01.14.09.008.355 საკადასტრო ერთეულებზე, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონის ცვლილება ხორციელდება №01.14.09.008.082, №01.14.09.008.083, №01.14.09.008.354, №01.14.09.008.359,

№01.14.09.008.238, №01.14.09.008.381 და №01.14.09.008.140 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ცვლილების ფართობი: 5 065 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 24-ე პუნქტი - **№19-0119087792-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კიკეთში არსებულ №81.01.13.121 და №81.01.00.156 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონის ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ხორციელდება მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონის ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (საერთო ფართობი: 4 045 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 25-ე პუნქტი - **№19-01191072768 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.046.463, №01.72.14.046.319) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ხორციელდება №01.72.14.046.465 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება და ძირითადი რუკით შემოთავაზებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 8 547 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №10/01192472005-67, №19/01190883370-67, №19-01191992470-67, №10/01192553008-67, №19/0119226724-67, №19/01192172854-67, №19/01191491172-67, №19/01191141816-67, №14-0119091182-67, №17-0119189635-67, №17-01191512846-67, №61-01191701273-67, №19/01191931738-67, №19/01191971452-01, №19/01192001303-67, №19/01192003342-01, №19/0119088948-67, №10/01191781984-67, №19-01182342146-67, №19-0119087792-67, №19-01191072768 განაცხადებთან (სულ: 21 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და დაინტერესებული პირების

(განმცხადებლების) მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებულ იქნა შემდეგი საკითხები (განაცხადები):

1) ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.109) ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 13 924 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №10/01192143762-67);**
2) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.003.042) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 515 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №19-01190883787-67);**
3) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.428) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 1 799 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №19-01191072141-67);**
4) ქალაქ თბილისში, ა. ემხუარის ქ. №22-ის (ვაშლიჯვარი) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.040) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 5 003 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №19-0119190624-67).**

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931141-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 21 წინადადება - №10/01192472005-67, №19/01190883370-67, №19-01191992470-67, №10/01192553008-67, №19/0119226724-67, №19/01192172854-67, №19/01191491172-67, №19/01191141816-67, №14-0119091182-67, №17-0119189635-67, №17-01191512846-67, №61-01191701273-67, №19/01191931738-67, №19/01191971452-01, №19/01192001303-67, №19/01192003342-01, №19/0119088948-67, №10/01191781984-67, №19-01182342146-67, №19-0119087792-67, №19-01191072768) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და დაინტერესებული პირების (განმცხადებლების) მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებულ იქნა შემდეგი საკითხები (განაცხადები):

1) ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.109) ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 13 924 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №10/01192143762-67);**

2) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.003.042) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 515 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №19-01190883787-67);**

3) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.428) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 1 799 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №19-01191072141-67);**

4) ქალაქ თბილისში, ა. ემხუარის ქ. №22-ის (ვაშლიჯვარი) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.040) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 5 003 კვ.მ.) შესახებ **(განაცხადი: №19-0119190624-67).**

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის **№12-031931141-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 21 წინადადება - №10/01192472005-67, №19/01190883370-67, №19-01191992470-67, №10/01192553008-67, №19/0119226724-67, №19/01192172854-67, №19/01191491172-67, №19/01191141816-67, №14-0119091182-67, №17-0119189635-67, №17-01191512846-67, №61-01191701273-67, №19/01191931738-67, №19/01191971452-01, №19/01192001303-67, №19/01192003342-01, №19/0119088948-67, №10/01191781984-67, №19-01182342146-67, №19-0119087792-67, №19-01191072768) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე